საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 69231215**
თარიღი:**01/05/2023**

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში

1. განკარგულებით დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმიდან ამოღებული იქნეს შემდეგი ობიექტები:

ა) ორი ერთეული ელექტრო გამათბობელი და 1 ერთეული მინის მაგიდა, რომელიც გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ.

ბ) საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმიდან ამოღებული იქნეს ის ობიექტები რომელთა შეფასება მოხდა აუდიტის მიერ 2020 წლამდე და მისი გეგმაში შეტანა მოხდეს ახლად შეფასების შემდეგ (ობიექტთა ჩამონათვალი თან ერთვის) .

2. საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმას დაემატოს შემდეგი ობიექტები :

ა) სოფელ ბორითში 36.03.41.024.01.500 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული (შენობა-ნაგებობის პირველი სართული) 99.54 კვ.მ ფართი,

ბ) სოფელ დიდვაკეში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზედ

მდგარი შენობა-ნაგებობით, ს/კ 36.15.33.175 , მიწის ნაკვეთის ფართობი 1102 კვ.მ და

მასზედ მდებარე ავარიული შენობის ნანგრევი ფართით 01/2 - 855.62 კვ.მ. მათ შორის

სარდაფ: 299.52 კვ.მ.

მუხლი 2. დამტკიცდეს საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმა თანდართული დანართის მიხედვით.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი